



შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია



პროფესიული სტუდენტის გაიდლაინი



ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია


1. პრაქტიკოსი ექთანი - 5 საფეხური (მოდულური)
2. ტურთკერატორი - 5 საფეხური (მოდულური)
3. ბიბლიოთეკარი - 4 საფეხური (მოდულური)
4. კრიმინალისტი - 3,4,5 საფეხური
5. ბულალტარი - 3,4,5 საფეხური
6. ინფორმაციული ტექნოლოგი - 3 საფეხური
7. ინტერნეტ ტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) - 3 საფეხური



დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს : www.bta.edu.ge

აკადემიის მისია

- განათლების მიღების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა, ამ მიზნით თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მექანე სპეციალისტების მომზადება შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფილ კონკურენტულ სასწავლო გარემოში;
- ადგილობრივი და საერთაშორისო სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა დაგანვითარება, რაც ხელს შეუწყობს ერთობლივი პროგრამების დაგეგმვას და განვითარებას;
- პერსონალის განვითარებისათვის მუდმივი ზრუნვა;
- სტუდენტთა კულტურული და სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა, რაც გაზრდის მათ მოტივაციას.



საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება შრომის ბაზრის - დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზს ან/და პროფესიულ სტუდენტთა ან/და კურსდამთავრებულთა ან/და სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. კვლევის ანალიზის შედეგების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი აკადემიის რექტორს წარუდგენს მოხსენებით ბარათს სადაც დასაბუთებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროება.



❖ პროფესიული სტუდენტი, სტატუსის მოპოვება

❖ მუხლი 3. პროფესიული სტუდენტი

- ❖ 1. შპს – ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც ჩარიცხულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად რექტორის ბრძანებით საგნობრივი პროგრამაზე ან/და მოდულურ პროგრამებზე.
- ❖ 2. პროფესიულ სტუდენტთან რექტორის მიერ ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობები და სხვა .
- ❖ მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება
- ❖ 1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით. დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. კონკურსის არსებობის შემთხვევაში, დაწესებულების რექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამით განსაზღვრულია დამატებითი პირობა.
- ❖ 2. საგნობრივ პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას;
- ❖ 3. მოდულურ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის პროცედურები განისაზღვრება რექტორის ბრძანებით და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მის ხელმისაწვდომობასა და საჯაროობას;
- ❖ 4. პროფესიულ სტუდენტთა კვოტის ფარგლებში კვოტის შევსების მიზნით სასწავლო პროცესის დაწყებიდან 24 სამუშაო დღის განმავლობაში გრძელდება რეგისტრანტთა მიღება და მათი სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით ტარდება დამატებითი მეცადინეობები, რომელთა საერთო დატვირთვა არ აღემატება 36-40 საათს კვირაში;
- ❖ 5. III საფეხურის საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და აკმაყოფილებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.
- ❖ 6. IV ან V საფეხურის საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე თუ მათ არ გააჩნია წინა საფეხური, ჩარიცხება პირი, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლების დოკუმენტი და აკმაყოფილებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.
- ❖ 7. III საფეხურზე საბაზო განათლების დოკუმენტის საფუძველზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია გააგრძელოს სწავლა იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივ პროგრამაზე მე-4 და მე-5 საფეხურზე სრული ზოგადი განათლების დოკუმენტის წარდგენის გარეშე.
- ❖ 8. "შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე"
- ❖ 9. პროფესიული განათლების თითოეული საფეხურის გავლის საფუძველია (საგნობრივი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის) წინა საფეხურის პროგრამის ათვისება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ან წინა საფეხურის პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება.
- ❖ 10. რექტორის ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);
 - ბ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
 - გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - დ) უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში;
4. სტატუსის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ან დამატებითი პირობების დაწესება აღდგენისათვის;
5. პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, თუ მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან სამ სამუშაო დღეში.
6. პროფესიული სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 1 წლის ვადით. ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
7. სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში



მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრლი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი.

2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, სტუდენტის წავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) გარდაცვალება;

დ) რექტორის მიერ პროფესიული სტუდენტის მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება აკადემიის ეთიკის კოდექსის, შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების საფუძველზე;

ე) წინამდებარე წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გატვალისწინებული შეთხვევა.

ვ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

2. პირს, რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას დაწესებულება უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან ხუთ სამუშაო დღეში;

3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი კალენდარული დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.



მობილობა

1. დაწესებულებაში მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

ბ) თუ სხვა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა ამ დაწესებულებაში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე;

2. მობილობის მსურველთათვის, კერძოდ ამ დაწესებულების საგნობრივ პროგრამებზე ჩარიცხულ პირთათვის სხვა დაწესებულებაში გადასვლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ამის შესახებ პროფესიულმა სტუდენტმა დაწესებულების ადმინისტრაციას განცხადებით უნდა რასაც თან დაურთავს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) პირადი საქმე

ბ) ცნობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული ან აღიარებული კრედიტების შესახებ ან სტუდენტის ბარათი დამოწმებული დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით;

3. მობილობის განხორციელებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა მიმღები პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივი პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რასაც მოხსენებითი ბარათის სახით წარუდგენს რექტორს;

4. სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის შემუშავებაში;

5. მოდულურ პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს და დაწესებულება ავტომატურად ჩაუთვლის მას გავლილ მოდულებს/სწავლის შედეგებს;

6. მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურტად ჩაეთვლება მოდულის გავლა.

მიღებული განათლების აღიარება

1. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების ჩათვლა ხორციელდება დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროფესიული სტუდენტის მიღებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების პროფესიულ სტანდარტთან და საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაბამისობის დადგენის გზით.
2. თუ პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად, ასათვისებელი კვალიფიკაციების მიხედვით იდენტური ან თითქმის იდენტურია, ის შეიძლება ცნობილ იქნას დაწესებულების მიერ.
3. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები იდენტურია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, მისი ცნობა ხდება ავტომატურად;
4. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები მეტია ვიდრე დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, კრედიტები ცნობილ იქნება დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით;
5. თუ პირის მიერ გავლილი სასწავლო კომპონენტის კრედიტები ნაკლებია ვიდრე დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტისა, ცნობილ იქნება კრედიტები ათვისებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით; გამოწვევის შემთხვევაში შესაძლოა დაწესებულ იქნას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მოტივირებული დასკვნის საფუძველზე, თუმცა კრედიტებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 2 კრედიტს.
6. საგნობრივი პროგრამების ფარგლებში მიღებული კრედიტების მოდულური პროგრამის მიზნებისათვის აღიარების წესი განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და რეგულირდება რექტორის ბრძანებით.
7. მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება მოხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.
8. მოდულური პროგრამის შემთხვევაში მიღებული განათლების აღიარება რეგულირდება რექტორის ბრძანების საფუძველზე;

მუხლი 10. არაფორმალური განათლების აღიარება

1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურის ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.
3. არაფორმალური განათლების აღიარებისასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგულირდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 11. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმა

1. ინდივიდუალური საგანმანათლებლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

- ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;
- ბ) მობილობით გადმოდსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებთან;
- გ) პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ორ კვირაზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;
- დ) პირი რომელიც დაგვიანებით, პროგრამის დაწყებიდან არაუმეტეს 24 სამუშაო დღის განმავლობაში შემოუერთდა სასწავლო პროცესს და საჭიროებს დამატებით მეცადინეობას;

2. პირველ(ა) შემთხვევასთან დაკავშირებით პროფესიული მასწავლებელი მიმართავს ადმინისტრაციას და ხარისხის სამსახურის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად დაწესებულების ხელმძღვანელს;

3. მეორე (ბ) შემთხვევაში ხარისხის სამსახურის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში მობილობის მარეგულირებელი მუხლის პროცედურების დაცვით;

4. მესამე(გ) შემთხვევაში ხარისხის სამსახური ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავენ სასწავლო ცხრილს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუსადგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით;

5. მეოთხე(დ) შემთხვევაში ტარდება პროფესიულ სტუდენტთან საჭიროების შესაბამისად დამატებითი მეცადინეობები, სასწავლო კურსების თემატიკის დამღვის და სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით.

მუხლი 12. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი საგნობრივი პროგრამისათვის

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

5. შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მოთხოვნის საფუძველზე საშუალება ეძლევა ერთხელ გავიდეს დამატებით შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე.

6. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მირითადი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღეში.

7. დამატებით გამოცდაზე გასასვლელად პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციას, სადაც მიუთითებს სასწავლო კურსის დასახელებას.

8. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება საბოლოოა და მისი გადაბარება დაუშვებელია.

9. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაგროვილი აქვს მინიმუმ 11 ქულა.

10. შეფასების კრიტერიუმები ცალკეული სასწავლო კომპონენტისათვის შედგენილია ინდივიდუალურად, მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად დადეტალურად გაწერილია სილაბუსებში.

11. გამოცდის ჩატარების ფორმა და შეფასებები განსაზღვრულია შესაბამისი სილაბუსებით.

12. თეორიული და პრაქტიკის კომპონენტის სასწავლო კურსების შეფასება ფორმდება შესაბამისი რექტორის ბრძანებით დამტკიცებული შეფასების უწყისებით და ინახება დაწესებულებაში უვადოდ.

მუხლი 13. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი მოდულური პროგრამების შემთხვევაში

1. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

2. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

3. უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს დაადასტუროს სწავლის შედეგი პროგრამის დასრულებამდე ან იმ მოდულის დაწყებამდე, რომლის წინაპირობაც არის მოდული, რომლის შედეგიც ვერ დაადასტურა, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე 2 ორჯერ. წერილობითი განცხადების საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის განმეორებით გამოცდაზე დაშვების შესახებ.

თუ პროფესიული სტუდენტი ვერ გამოცხადდა შედეგის დადასტურებაზე, მას უფლება აქვს მიმართოს აკადემიის ადმინისტრაციას და მოითხოვოს სწავლის შედეგის დადასტურება.

4. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით;

5. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

6. შეფასების ინსტრუმენტი უნდა შეესაბამებოდეს მოდულით განსაზღვრულ მტკიცებულებას და შეფასების მიმართულებას.

7. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს განმახორციელებელი პირი(შეფასებამდე ერთი კვირით ადრე),რომელსაც განიხილავს შიდა მონიტორინგის სამსახური და ვალიდაციის შემთხვევაში, შესაბამისი ხელმოწერით ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

9. მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს, რომელიც აღნიშნულ მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;

10. მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას;

11. შეგროვების შემდეგ შესრულების მტკიცებულებები ინახება პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში;

12. მტკიცებულებები ინახება მათი მოპოვებიდან შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე/პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე.

13. ქართული ენა A2 და B1 მოდულების ვარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომლის ჩარიცხვის პროცედურები განხორციელდა ქართულ ენაზე, შიდა მონიტორინგის ჯგუფი მიმღები კომისიის წევრების ჩართულობით ოქმის სახით ადგენს აღნიშნულ ფაქტს;

14. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა კანცელარიას და ინახება უვადოდ.

მუხლი 14. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა

1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში, გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა.
2. სასწავლო პროცესის სამსახური საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერის ხელმძღვანელობით პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიულ მასწავლებელთან.
3. აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად .



გისურვებთ წარმატებებს!